

EU4BUSINESS | EBRD Credit Line

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საფინანსო და საკონსულტაციო პროგრამა

თანამედროვე, მწვანე და მომგებიანი
მცირე და საშუალო ბიზნესის
მშენებლობა საქართველოში გრანტებით
უზრუნველყოფილი სესხებით



European Bank
for Reconstruction and Development



EU4Business



რას წარმოადგენს EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზი	2
როგორ მუშაობს ეს პროგრამა?	3
როგორი პირობებია ე.წ. „წინასწარ დამტკიცებული ტექნოლოგიების“ შემთხვევაში	4
ინვესტიციები „წინასწარ დამტკიცებულ ტექნოლოგიებში“ - მაგალითები	5
როგორი პირობებია ე.წ. „გამარტივებული პროექტების“ შემთხვევაში?	6
ინვესტიციები „გამარტივებულ პროექტებში“ - მაგალითები	7
როგორი პირობებია ე.წ. „კომპლექსური პროექტების“ შემთხვევაში	8
ინვესტიციები „კომპლექსურ პროექტებში“ - მაგალითები	9
ჩვენი პარტნიორი ბანკები	10
გაადლიერეთ თქვენი ინვესტიციები Know-How-ს გამოყენებით	12
ვის შეუძლია განაცხადის შევსება გრანტით გარანტირებული სესხის მისაღებად?	13



რას წარმოაგენს EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზი?

EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზი ევროკავშირისა და EBRD-ის ერთობლივი პროგრამაა, რომელიც საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს ევროკავშირის ბაზრებზე წვდომის საშუალებას მისცემს, მდგრადი ინვესტიციების, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ხარისხის პროდუქციის წარმოების, შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვისა და მწვანე ტექნოლოგიების გამოყენებით.

EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზი გთავაზობთ:


- კრედიტის ხელმისაწვდომობას საქართველოს პარტნიორი ბანკებისა და სალიზინგო კომპანიებისგან
- წარმატებული პროექტებისთვის EU4Business ინიციატივის ფარგლებში დაფინანსებული გრანტები
- საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის უფასო ტექნიკურ დახმარებას სასურველი საინვესტიციო მიზნების განსაზღვრელებლად.

გააუმჯობესეთ თქვენი პროდუქციის ხარისხი და გაწიეთ ეფექტური კონკურენცია საქართველოს და ევროკავშირის ბაზრებზე.

იმუშავეთ ევროკავშირის დირექტივების დაცვით და გაზარდეთ მომგებიანობა.

გახადეთ პრიორიტეტული ინვესტიციები მწვანე ეკონომიკაში პასუხისმგებლიანი წარმოების და ხარჯების შემცირებისათვის.

გაზარდეთ თქვენი საექსპორტო პოტენციალი თანამედროვე საწარმოო აღჭურვილობის მეშვეობით.



როგორ მუშაობს ეს პროგრამა?

3 ტიპის კრედიტი, გათვალისწინებული სხვადასხვა კომპანიების ბიზნესმოთხოვნებისთვის.



წინასწარ დამტკიცებული ტექნოლოგიები

საწარმო დანადგარების მარტივი განახლებისთვის - 300 000 ევრომდე, წინასწარ განსაზღვრული ტექნოლოგიების სიის (LET) მიხედვით.
წამახალისებელი გრანტის მოცულობა - 10%-მდე საკრედიტო თანხის უკან დაბრუნებით.



გამართივებული მიდგომა

დაჩქარებული პროცესი SPS-ების ტექნოლოგიური განახლებისა და სურსათის უვნებლო ბისტვის, ინვესტიციები 300 000 ევრომდე.
წამახალისებელი გრანტი - 15%-მდე საკრედიტო თანხის უკან დაბრუნებით.



კომპლექსური მიდგომა

ინვესტიციები 3 მილიონ ევრომდე, ბიზნესების პრაქტიკულად ყველა სფეროსთვის.
წამახალისებელი გრანტი - 15%-მდე საკრედიტო თანხის უკან დაბრუნებით.

როგორი პირობებია ე.წ. „წინასწარ დამტკიცებული ტექნოლოგიების“ შემთხვევაში?


LET წარმოადგენს წინასწარ დამტკიცებული ტექნოლოგიების სიას

მანქანა-დანადგარებში 300,000 ევრომდე ინვესტიციების დასაფინანსებლად ჩვენ შევქმენით „წინასწარ დამტკიცებული ტექნოლოგიების სია.“ სასურველი დანადგარების და მომწოდებლის მოსაძებნად იხილეთ „წინასწარ დამტკიცებული ტექნოლოგიების სიის არჩევის ფუნქცია“ www.list-of-eligible-technologies.com

LET მიდგომა დინამიურია, არსებულ სიას მუდმივად ემატება ახალი ტექნოლოგიები.

თქვენთვის სასურველი დანადგარები არ მოიძებნა სიაში? მიმართეთ ჩვენი პროექტის გუნდს დეტალური ინფორმაციით, რომელიც გადაამოწმებს სასურველი დანადგარების სიაში დამატების შესაძლებლობას.

დამატებითი ინფორმაციისთვის და LET განაცხადის ფორმის ჩამოსატვირთად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.eu4business-ebdcreditline.ge/en/standard-approach/



ინვესტიციები „წინასწარ დამტკიცებულ ტექნოლოგიებში“ - მაგალითები

LET სიაში ამჟამად არსებული დანადგარები:

- სამშენებლო დანადგარები
- საკვების საწარმოო დანადგარები
- გათბობა/გავრილების სისტემები
- სამრეწველო დანადგარები
- გადამამუშავებელი დანადგარები
- განახლებადი ენერჯია

თუ თქვენთვის სასურველი დანადგარები არ მოიძებნა „წინასწარ დამტკიცებული სია“-ში, დაგვიკავშირდით, ჩვენ შევაფასებთ სიაში შეყვანის შესაძლებლობას.


სტამბამ, რომელიც აწარმოებს ნაბეჭდ პროდუქციას შიდა და გარეთ მოხმარებისთვის, ინვესტიცია განახორციელა UV-პრინტერსა და დამხმარე აღჭურვილობაში. ბეჭდვის ასეთი ტექნოლოგიის ძირითადი უპირატესობაა გამოსახულების მაღალი ხარისხი, გარემოს ზემოქმედებისადმი მდგრადობა. აღნიშნული ინვესტიციით კომპანიამ გაზარდა პროდუქციის ხარისხი და საექსპორტო პოტენციალი. ასევე, შეამცირა ენერჯიის მოხმარება და შეამცირა CO₂-ის ემისია

სესხის თანხა: € 99,276
გრანტის თანხა: € 9,927
პირველადი ენერჯიის დანაზოგი: 17.4kWh/წელი
სათბური აირების შემცირება: 1.2 ტონა CO₂/წელი



ორთქლის ქვაბების, ლითონის ავზების, რეზერვუარების და კონტეინერების მწარმოებელმა კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა ლაზერული ჭრის აპარატში, რითაც აამაღლა წარმოებული პროდუქციის ხარისხი, გააუმჯობესა თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოების ნორმები და მკვეთრად შეამცირა წარმოების ნარჩენები.

სესხის თანხა: € 270,126
გრანტის თანხა: € 27,013
პირველადი ენერჯიის დანაზოგი: 106kWh/წელი
მასალის დანაზოგი: 146 ტონა/წელი
სათბური აირების შემცირება: 17kgCO₂/წელი
ენერჯიის მოხმარების შემცირების წილი - 35%




როგორი პირობებია ე.წ. „გამარტივებული პროექტების“ შემთხვევაში?

ეს მიდგომა ექსკლუზიურად იმ ინვესტიციებისათვისაა განკუთვნილი, რომლებიც მიზნად ისახავს საკვების სანიტარული და ფიტო-სანიტარული სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. სესხის მოცულობა 300,000 ევრომდეა 15%-მდე საგრანტო მხარდაჭერით.

დამატებითი ინფორმაციისთვის და „გამარტივებული მიდგომის“ განაცხადის ფორმის ჩამოსატვირთად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს:

www.eu4business-ebdcreditline.ge/en/simplified-approach/



ინვესტიციები „გამარტივებულ პროექტებში“ - მაგალითები

- საწარმოო შენობების და საწყობების განახლება
- სამაცივრე დანადგარები მალფუჭებადი პროდუქტებისთვის
- შეფუთვისა და მარკირების მოწყობილობები

- პროცესის კონტროლის ავტომატური სისტემები
- ლაბორატორიები
- პროდუქტის და/ან HACCP სისტემის სერტიფიცირების ხარჯები

ჩირისა და სამკურნალო მცენარეების მწარმოებელმა კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა ახალ საშრობ, სარეცხ და საჭრელ მოწყობილობებში, რითაც გააუმჯობესა წარმოებული პროდუქციის ხარისხი და გაზარდა საექსპორტო პოტენციალი.

ინვესტიცია: გადამამუშავებელი და საწარმოო შენობის მშენებლობა, ნედლეულის გადამამუშავებელი დანადგარები, ხილისა და მცენარეების საშრობი, ნედლეულის საწყობი და ტრენინგ ცენტრი თანამშრომლებისთვის.

სესხის თანხა: € 129,090

გრანტის თანხა: (15%): € 19,363

თანხვედრა ევროკავშირის დირექტივებთან:

- საბჭოს დებულება (EC) 83 834/2007 ორგანული პროდუქციის წარმოებისა და მარკირების შესახებ და გაუქმებული რეგულაცია (EEC) 20 2092/91
- რეგულაცია (EC) No 178/2002, სურსათის კანონის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების, ასევე სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტების შესახებ
- რეგულაცია 2023/2006 საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალების და პროდუქტების წარმოების პრაქტიკის შესახებ



კვერცხის მწარმოებელმა კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა ახალ დანადგარებში, რის შედეგადაც დანერგა პროდუქციის დახარისხებისა და შეფუთვის მაღალი სტანდარტები, რითაც უზრუნველყო წარმოების პროცესში საკვების უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების სრულად დაცვა.

ინვესტიცია: კვერცხის დაფასოებისა და შეფუთვის დანადგარების შესყიდვა და მონტაჟი

სესხის თანხა: € 253,713

გრანტის თანხა: (15%): € 38,056

თანხვედრა ევროკავშირის დირექტივებთან:


- რეგულაცია 2023/2006 საკვებთან კონტაქტში მყოფი მასალების და პროდუქტების წარმოების პრაქტიკის შესახებ
- ნედლეულის ძირითადი სპეციფიკაციები, გამოცემა 5, რომელიც მოიცავს (წარმოებული პროდუქციის სერიული ნომრების მიკვლევადობას ევროკავშირის რეგლამენტი No178/2002, მიკრობიოლოგია, მძიმე მეტალები, მიკოტოქსინები, ნარჩენების შეფუთვა და სხვ.)
- რეგულაცია (EC) No 178/2002, სურსათის კანონის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების, ასევე სურსათის უვნებლობის ევროპული სტანდარტების შესახებ



როგორ მუშაობს „კომპლექსური პროექტის“ სესხის მექანიზმი?

კომპლექსური პროექტები გულისხმობს ინვესტიციებს, რომლებიც მიმართულია ჯანმრთელობის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის მინიმუმ ერთ, ან რამდენიმე დირექტივასთან შესაბამისობაში მოსვლას. ამ მექანიზმის გამოყენების ფარგლებში სესხის მაქსიმალური თანხა 3 მილიონი ევროა, საგრანტო კომპონენტი კი 15%-მდე. ეს მიდგომა ასევე ითვალისწინებს უფასო ტექნიკურ დახმარებას საერთაშორისო კონსულტანტთა გუნდის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისთვის და კომპლექსური მიდგომის განაცხადის ფორმის ჩამოსატვირთად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს:
Complex Approach - www.eu4business-ebdcreditline.ge.



ინვესტიციები „კომპლექსურ პროექტებში“ - მაგალითები

- ახალი დანადგარები, საწარმოო ტექნიკა, საწარმოო ხაზები
- ახალი ბოილერები, გაგრილების სისტემები, გასათბობი ტუმბოები
- საწარმოო დანიშნულების შენობის სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები
- საწარმოო ხაზების და შენობების ინტეგრირებული სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები

- სასაწყობე ნაგებობების, ცივი ოთახების, შიდა საჯრანსპორტო საშუალებების სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები
- შესაფუთი დანადგარები
- ასპირაციული და მტვრის შესამცირებელი სისტემები
- ნარჩენი წყლების გამწმენდი დანადგარები
- ჰაერის ემისიის შემამცირებელი დანადგარები

ნატურალური თაფლის მწარმოებელმა კომპანიამ, რომელიც ფლობს 500 სკას, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების მიზნით ინვესტიცია განახორციელა თაფლის შესანახ და გადამამუშავებელ დანადგარებში, რომელთა სრულად უზრუნველყოფა ხდება ინვესტიციით შეძენილი მზის პანელების მიერ. EBRD-ის ASB პროგრამამ და ევროკავშირმა მხარი დაუჭირეს ამ ბიზნესინიციატივას. ინვესტიციის შედეგად კომპანია ახდენს პროდუქციის ბრენდირებას თვალშისაცემი შეფუთვით, ადვილად მოხმარებადი ვებგვერდი, რომელიც საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას უწყობს ხელს.

სესხის თანხა: € 350,000

გრანტის თანხა: € 52,500

პირველადი ენერჯის დანაზოგი: 1,370Gj/წელი

სათბური აირების შემცირება: 76 ტონა CO₂/წელი




ლითონის პროდუქციის მწარმოებელმა კომპანიამ (მეტალის ბადეები, მილები, მავთული), ინვესტიცია განახორციელა ინოვაციურ და ეკოლოგიურად სუფთა მეტალის ნაწილების დამამზადებელ ალჭურვილობაში. ინვესტიციის შედეგად კომპანიამ საგრძნობლად გააუმჯობესა თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოების ნორმები, პროდუქციის ხარისხი და წელიწადში 80 ტონით შეამცირა CO₂-ის ემისია.

სესხის თანხა: € 494,902


გრანტის თანხა: € 74, 235

პირველადი ენერჯის დანაზოგი: 919 MWh/წელი

სათბური აირების შემცირება: 80 ტონა CO₂/წელი



ჩვენი პარტნიორი ბანკები



სად შევავსოთ სესხის განაცხადი:

სესხის გაცემის პროცესის გამარტივების მიზნით EU4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზის ყველა სესხი გაიცემა ადგილობრივი პარტნიორი ბანკების და/ან სალიზინგო კომპანიების მიერ. პარტნიორი ბანკები და სალიზინგო კომპანიები მუდმივ მხარდაჭერას ღებულობენ პროგრამის კონსულტანტებისგან.

სესხის პირობები:

საკრედიტო პირობებს ადგენენ ადგილობრივი პარტნიორი ბანკები და/ან სალიზინგო კომპანიები, EBRD-ის, ევროკავშირისა და პროექტის კონსულტანტებისაგან დამოუკიდებლად. საბოლოო გადაწყვეტილებას სესხის გაცემის თაობაზე ღებულობს მხოლოდ პარტნიორი ბანკი და/ან სალიზინგო კომპანია

პროექტის შეფასება:

პროექტის კონსულტანტი პასუხისმგებელია საინვესტიციო პროექტების ტექნიკურ შეფასებაზე, ხოლო ვერიფიკაციის კონსულტანტთან ერთად, გრანტის ოდენობების განსაზღვრასა და შემოწმებაზე.

საინვესტიციო პროექტის და ვერიფიკაციის პროცესის წარმატებით გავლის შემდეგ, პარტნიორი ბანკები და/ან სალიზინგო კომპანიები გაცემენ პროექტის კონსულტანტის მიერ დამოწმებულ გრანტს. საგრანტო კომპონენტის ოდენობაზე პარტნიორ ბანკებს ან სალიზინგო კომპანიებს გავლენა არ აქვთ.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად პარტნიორი ბანკების და სალიზინგო კომპანიების შესახებ ეწვიეთ ჩვენი პროგრამის ვებ-გვერს.

www.eu4business-ebrdcreditline.com

წარმატების ისტორია

ღვინის მწარმოებელი კომპანია, რომელიც წელიწადში 2 მილიონ ბოთლ ღვინოს აწარმოებს, უკვე აკმაყოფილებს გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს. გარემოს დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა ყოველთვის იყო კომპანიის პრიორიტეტი, რომელიც 130 ჰექტარზე გაშენებულ ვენახებს უვლის.

კომპანიის მიერ დანერგილი მწვანე ფილოსოფია აისახება მინი ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობაზე, რომელიც განკუთვნილია წვეთოვანი საირიგაციო სისტემის და საწარმოების ენერჯით მომარაგებისათვის. მომხმარებელთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ISO 22000: 2005 სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვით. ღვინის წარმოების გაზრდის და საექსპორტო პოტენციალის ამაღლების მიზნით, კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა ახალ მარანში და ღვინის დასამზადებელ და გადამამუშავებელ აღჭურვილობაში.

ინვესტიციის შედეგად გაუმჯობესდა ღვინის ხარისხი, გაიზარდა შრომის უსაფრთხოების ნორმები, მკვეთრად შემცირდა უარყოფითი გავლენა გარემოზე და შესაბამისობაში მოვიდა ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოების და ნარჩენების გადამამუშავებასთან დაკავშირებულ ევროკავშირის დირექტივებთან.

სესხის ოდენობა: € 1,064,943

გრანტის მოცულობა: € 159,741

პირველადი ენერჯის დანაზოგი: 110 MWh/წელი

სათბური აირების შემცირება: 7.7 ტონა CO₂/წელი



გაუმჯობესეთ თქვენი საინვესტიციო პროექტი Know-How-სთან ერთად

EBRD-ის Advice for Small Business (ASB) გუნდი აკავშირებს ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონსულტანტებთან, რომლებიც თავის მხრივ ეხმარებიან ქართულ კომპანიებს მოდერნიზაციაში, ტრანსფორმაციაში და განვითარებაში.

ბიზნესკონსულტაცია

იმუშავეთ ადგილობრივ კონსულტანტთან პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნესის კონკრეტულ ასპექტს, როგორცაა ხარისხის მართვის ISO სისტემის დანერგვა, ან ახალი ქარხნისათვის გახსნის მიზანშეწონილობის გეგმის შექმნას. ასეთი პროექტები, როგორც წესი 4-6 თვე გრძელდება და ეფუძნებიან საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც ეხმარება ბიზნესს აიმაღლოს კონკურენტუნარიანობა. პროექტის ღირებულების 10 000 ევრომდე ანაზღაურების შესაძლებელია ASB Know-How-ს პროგრამის ფარგლებში.

ინდუსტრიის ექსპერტიზა

დარწმუნდით თქვენი ბიზნესის კონკურენტუნარიანობაში საერთაშორისო დონეზე, იმავე ინდუსტრიის საერთაშორისო მრჩევლის გამოცდილებაზე დაყდნობით. საკუთარი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, იმავე ინდუსტრიის მენეჯერების უფროს რგოლებში. მათ შეუძლიათ სტრატეგიულად გადახედონ ბიზნესის ყველა ასპექტს და შეიმუშაონ სანდო სტრატეგია ინვესტიციებისა და ზრდისთვის.

იქნება ეს მატყლის დართვისას ტენიანობის სწორი ნორმის სპეციალიზირებული ცოდნა, ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების ლაბორატორიული სტანდარტები, თუ წარმოების გასაუმჯობესებლად ყველაზე ეფექტური აღჭურვილობის შერჩევა. ინდუსტრიის ამ საერთაშორისო მრჩევლებს ესმით, თუ როგორ უკავშირდება ეს საკითხები თითოეულ ბიზნესს და მის საჭიროებებს. ამ პროექტების დამუშავებას საშუალოდ 12-18 თვე სჭირდება

დაუკავშირდით სხვა მეწარმეებს და გააძლიერეთ თქვენი ცოდნა ექსპორტის საკითხებში

EBRD-ის ექსპორტის ხელშეწყობის ტრენინგი, რომელიც განკუთვნილია მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, ეხმარება კომპანიებს ექსპორტთან დაკავშირებული ცოდნის გაფართოებაში და მოიცავს სამიზნე ბაზრის სწორად არჩევას, პროდუქციის დინამიკის შესწავლას და ევროკავშირის სპეციფიკის გააცნობას ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებში.

გამოცდილების სფეროები

- სტრატეგია
- მარკეტინგი
- ორგანიზება
- ოპერირება
- ტექნოლოგიები
- ინჟინერია
- ხარისხის მართვა
- ფინანსური მენეჯმენტი
- ენერგოეფექტურობა და გარემოს დაცვა

ვის შეუძლია განაცხადის შეტანა Eu4Business-EBRD-ის საკრედიტო ხაზით დაფინანსებაზე?

კომპანიები, რომლებსაც სურთ თავიანთი საინვესტიციო პროექტების დაფინანსება EU4business-EBRD-ის საკრედიტო ხაზის მეშვეობით, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ტერმინი მცირე და საშუალო ბიზნესი ასევე მოიცავს ინდივიდუალურ მეწარმეებს!
- კომპანიას უნდა ჰყავდეს არა უმეტეს 250 თანამშრომლისა, ხოლო წლიური ბრუნვა 50 მილიონ ევროზე ნაკლები, ან/და წლიური ბალანსი არ უნდა აღემატებოდეს 43 მილიონი ევროს ექვივალენტს ლარში.
- როგორც კომპანიები, ასევე ინდ. მეწარმეები დარეგისტრირებული უნდა იყვნენ საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.
- კომპანიის ძირითადი საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს საქართველოში, ან კომპანიას უნდა ჰქონდეს ფიქსირებული ადგილი საქართველოში, საიდანაც მთლიანად, ან ნაწილობრივ ხორციელდება ბიზნესის ოპერირება.
- თუ საქართველოს მთავრობას, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, ან სხვა პოლიტიკურ, სამთავრობო ან ადმინისტრაციულ ორგანოს, სააგენტოს, ან მის ქვედანაყოფს აქვს წილს ბიზნესში, იგი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 49% - ს. საჯარო დაწესებულება არ უნდა იყოს პირდაპირი, თუ არაპირდაპირი გზით ჩართული კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტში, არ უნდა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე კონტროლი.
- ბიზნესი უნდა იყოს დამოუკიდებელი, რაც ნიშნავს:
 - კომპანიის საწესდებო კაპიტალის 50% -ზე მეტს არ უნდა ფლობდეს ან აკონტროლებდეს სხვა კომპანია/ორგანიზაცია, რომელიც არ აკმაყოფილებს მცირე და საშუალო ბიზნესის დასაშვებულ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს. კომპანია/ბიზნესი არ არის იმ კომპანიების/ბიზნესების ჯგუფის ნაწილი, რომლებიც საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.
 - სადაც ჯგუფში შემავალი ყველა კომპანია ჩართულია ერთიდაიგივე ბიზნეს სექტორში და ამ კომპანიების ჯგუფის საერთო მონაცემები არ შეესაბამება მცირე და საშუალო ბიზნესის ზემოთ აღწერილ კრიტერიუმებს.
- ბიზნესი უნდა ფლობდეს ყველა საჭირო ნებართვას და შესაბამისობაში იყოს საქართველოს ეროვნულ გარემოს დაცვის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის რეგულაციებთან.
- კომპანია/ბიზნესი არ უნდა შედიოდეს იმ პირთა ან/და ორგანიზაციათა სიაში, რომლებსაც აკრძალული აქვთ EBRD-გან დაფინანსების მიღება.
- თუ არ ხართ დარწმუნებული აკმაყოფილებს თუ არა თქვენი კომპანია ამ ზოგად კრიტერიუმებს, კონსულტაციისთვის დაუკავშირდით ჩვენ ოფისს.
- საინვესტიციო პროექტი არ უნდა მონაწილეობდეს სხვა წამახალისებელ კომპონენტთან პროგრამებში, მათ შორის იმ პროგრამებში, რომლებიც საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას გულისხმობენ.



ვის შეუძლია განაცხადი შეავსოს EU4Business-EBRD-ის კრედიტებზე და გრანტებზე?

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდებიან კომპანიები და ბიზნესები, რომლებიც დაკავებული არიან შემდეგი საქმიანობით:

- გზებისა და რკინიგზის მშენებლობა
- ნედლეულის მოპოვება
- ტექნოლოგიები, რომლებიც იყენებენ ნახშირბადის წიაღისეული საწვავის ინტენსიურ წვას, ტრანსპორტირებას, ან მოპოვებას, როგორცაა: ქვანახშირი, მაზუთი, ან ფიქალისგან ნავთობის მოპოვება
- EBRD-ის სოციალური და გარემოს დაცვის სიიდან გამორიცხული ნებისმიერი საქმიანობა



ეს დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის EU4Business ინიციატივის ფინანსური დახმარებით. დოკუმენტში მოხსენიებული მოსაზრებები ეკუთვნის კონსულტანტს და შესაბამისად, არ შეიძლება აღქმული იქნას როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

მომზადდა და მხარდაჭერილია:



EU4Business



European Bank
for Reconstruction and Development

EU4BUSINESS | EBRD
Credit Line

infogeorgia@dctacreditline.com

www.EU4Business-EBRDCreditline.com



Funded under the EU4Business
Initiative of the European Union